თათბირზე საფუძვლიანად ამსჯელეს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, განათლების სამინისტრომ მეტი უურადღება უნდა მიაქციოს მაღალმთიან სოფლებში სასკოლო მშენებლობას, რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ სკოლებს. როგორც აღინიშნა, ფასანაურის საშუალო სკოლაში შრომითი სწავლება ცუდად არის დაყენებული. შრომითი სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული დუშეთის მეორე და ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატში, ლამოვანისა და ჭილურტის რვაწლიან სკოლებში.

შრომითს აღზრდაში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს მოსწავლეთა საწარმოო კოლექტივებს საქმიანობამ, წლეულს რაიონის სკოლებში შეიქმნა 30 საწარმოო ბრიგადა, რომლებშიც 7.888 მოსწავლიდან გაერთიანდა მხოლოდ 1500, დებულების მიხედვით თვითეულ მოსწავლეს უნდა გამოიმუშავებინა დღეში 1 მანეთი მაინც, მაგრამ მჭადიჯვრის, ბაზალეთის, არაგვისპირის, ბოლოჩაურის სკოლების მოსწავლეებმა მხოლოდ 3-5 კაპიკი გამოიმუშავეს.

თითის ზოგიერთ სკოლაში ბავშვები შორიდან დადიან. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ინტერნატებს, განსაკუთრებით ამის საჭიროებაა სოფლებში სონდისველაში, ლაფანახოკარში, გუდამაყარში. ცუდად მუშაობენ სასკოლო ბუფეტები.

როგორც აღინიშნა, ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელმა დონემ გამოიწვია სწავლების სრულყოფის აუცილებლობა. ახლა ყველა გრძნობს, რომ მეცნიერების განვითარება და ძველებური სწავლება ადარ შეესაბამება ერთმანეთს, ამან გამოიწვია სწავლების ახალ პროგრამაზე გადასვლა.

თათბირზე აღინიშნა, რომ სწავლების ერთ-ერთი ხელშემშლელი მიზეზია სასკოლო სახელმძღვანელოებიც ნაკლებობა, ამასთან ზოგ სახელმძღვანელოს აკლია სრულყოფა.

თავიანთ ფორუმზე მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაშლილი პრინციპული ბრძოლის პირობებში, როცა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მკვიდრდება მუშაობის ლენინური სტილი, უკვე ხელშესახებად იგრძნობა წინ გადადგმული ნაბიჯები სახალხო განათლებაში. ახლა ბავშვის ფსიქოლოგიაში მტკიცედ იკიდებს ფეხს იმის შეგნება, რომ სწავლა აუცილებელია, რომ ჩვენმა ხალხმა სამუდამოდ დაჯმო მუქთახორობა, პროტექციონიზმი, მოთხვეიტელობა, მოსწავლეთა შეგნებაში ფეხს იკიდებს მაღალი პატრიოტული შეგნება, შრომის სიყვარული, თავმდაბლობა, პატიოსნება, ამხანაგობა, საკუთარი ღირსების გრძნობა, ურთიერთპატივისცემა და სოციალისტური საზოგადოების ადამიანის დამახასიათებელი სხვა ჩვეულებანი.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

...ორი დღე, და მთელ ჩვენს ქვეყანაში აწკრიალდება სპეციალისტებმრო ზარი, საქართველოს ერთ-ერთი დიდი, მაღალმთიანი — დუშეთის რაიონის მასწავლებლობა პირობას იძლევა იყოს პარტიის ერთგული თანაშემწე ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდისა და სწავლის კეთილშობილურ საქმეში.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბოტის ასაკი

კარგად მახსოვს პირველი შეხვედრა.

ერომანეთი მეოთხედი საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გავიცანით თბილისში, ზაფხულის ერთ პაპანაქებაში დღეს. ზედ ვერის დაღმართთან დავიხალეთ ფიზიკად მიმავალი, გარეგნულად მშვიდი კაცი, რომელსაც მკვეთრად დასამახსოვრებელი სახე ჰქონდა, უკეთ მაშინვე აღრეული. ცოდნის ბეჭდით დაღდასმული. მაგრამ თვალებში სიმკვირცხლის სხივი ენთო, ისინი თითქოს უღიმოდნენ მოსაუბრეს და ყოველივეს პირველი შეხვედრისთანავე გრძნობდნენ. მე ბევრი რამ გამგონია გრიგოლ აბაშიძეზე, წაკითხული მქონდა მისი ლექსები და პოემები, ვიცოდი, რომ იგი ერთ-ერთი საბელანთქმული და მორჩმული იყო საქართველოსი, და გამიკვირდა, რა ახალგაზრდა-მეთქი. მას მერე ბევრგზა წყალმა ჩაიარა. მაგრამ ჩვენი შეხვედრები ყოველთვის იმ პირველსა ჰგავს, თავისი სიღინჯით, სიმშვიდით, საუბრისა და ურთიერთობის გულიადობით.

ახალგაზრდობაში გ. აბაშიძემ დაწერა მესანიშნავი პოემები „შავი ქალაქის გაზაფხული“, „ზარზმის ზმანება“, „გიორგი მეექვსე“. ვითარდებოდა თუ არა მას შემდეგ პოეტის ნიჭი? რასაკვირველია, ვითარდებოდა, ოღონდ ეგ არის, თვითონ სიტყვა „განვითარება“ ცუდად გამოხატავს ლიტერატურული პროცესების აზრს. გ. აბაშიძის ადრეული ლირიკა 30-იან წლების დასასრულისა და 40-იანი წლების დასაწყისისა, აგრეთვე ახალი ლექსები ასხმული ერთი გზნებითა და ერთი გაბმული სუნთქვით, უცვლელი შინაგანი ძოლდანობით, გაერთიანებულია მოკრძალებულობის ნიჭით, რაც ესოდენ იშვიათი რამ არის არა ძარტო ლიტერატურაში, არამედ ცხოვრებაშიც. ყოველივე ეს თავდასვე იყო მოცემული და მდიდრდებოდა თანდათან. ასე გაჩნდა სტილი — თავდაჭერილობა და სიძართლე, ხოლო გაჯვითაჩება... „შეიძლება მთელი საუკუნე ხდებოდეს, მეცნიერებანი, ფილოსოფია და მოქალქობრიობა შეიძლება სულ უფრო სიუულაფიფილ იქმნას და იცვალოს... პოეზია ერთ ადგილას რჩება... მისნი ბისი ერთია, საშუალებანი იგივენი...“ (პუშკინი).

გ. აბაშიძის ლექსი აღმეჭდილია სტილისტური სიკასსარით, ბუნებრივი ოსტატობით, სრულყოფისაკენ დაუოკებელი სწრაფვით. დეტალები თვითკმარობის ძალას არ იძენეს, ხელს არ უშლიან თავიანთი თავის ბოეტურად აღქმის გრძნობას.

ქვეყანას გასწვდი, თუმცა დიდია,
ერთ წვეთში ჩასვი, ერთ ნატამალში.
შემოქმედება ბეწვის ხიდია,
ახალგაზრდობა — ცეცხლთან თამაში.
თუ ვერ გაიარეს, ფეხიც არ დაძრა,
ბაგეც არ გახსნა არასად ჩურჩულით,
დაიწვა ცეცხლში, დაეცი ნაცრად,
ოღონდ ნუ გახვალ ფრთაგარეულად.

პოეტის შემოქმედებითი ჩანაფიქრი გაჸიშვლეული კი არ არის, არამედ ცხოვრების ნიადაგზია ფესვებით ჩაზრდილი. მის ლირიკაში არ არის თავმოჯაბერებელ-ლირიკული ინტონაცია, ეროვნულობაც საერთოდ კარგია. არა არის რა დემონსტრატიულად შთაგონებული, არ არის საკუთარი თავის მიმართ გამოხატული ზედმეტი ყურადღება. პოეტი არ ფიქრობს იმ შთაბეჭდილებაზე, ძალა სიტყვებმა რომ უნდა მოახდინონ. უბრალოდ გონება და გული ერთმანეთზედა ჰკიდია: ისინი მწვანედ განიცდიან და გრძნობენ ყოველდღიურობის ამოუწურავ იდუმალებას. ეიღაცას უთქვამს, კარგად მოგონილი ამბავი სულაც არ უნდა ჰგავდეს ნამდვილ ცხოვრებას, ვინაიდან ცხოვრება ყოველნაირად ცდილობს დაეგვანოს კარგად მოგონილ ამბავს, და თამამი აზრი, ზომქანცველი ვნებანი დასარჯულ შრომად ღირს, თუ კი ისინი მშვენივრად არიან შემოსილნიო, ფანტაზია პოეტისა უსაზღვროა, მაგრამ იგი არასოდეს არ ამბობინჯებს ცხოვრების ფორმებს. გ. აბაშიძეს უნარი შესწევს ოდნავ ბეგრდეიან შეხედოს განცდილს, დაძლიოს ყოფითობა და შემოქმედებითი ნების დაძაბვით ამაღლოს პროზაზე.

თავმოძულებულს თაორის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით,
ძოლშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი,
სუფრაზეც იჯდა ჯაჭვგაუხდელი.
ცხარე ბრძოლიდან მობრუნებული,
გაგრილებული რკინის პერანგით,
თვალს აგელვებდა, რომ უნეიარი
არ დასცემოდა მზირი ვერაგი.
ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცვლიდა,
გარჯა თუ ლხინი ჰქოდა ახალი, —
თან დაუოლილი ედების მუცლიდან
ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარ-ხმალი.
რწმენა და ენა ბევრმა იცვალა,
მხოლოდ ის დარჩა მარად უცვლელი,
ტაძარს აგებდა, — ეცვა ნვრილთვალა,
ვეფხის წიგნს სწერდა ჯაჭვგაუხდელი.

თუ ადამიანს კარგი რამ აქვს სათქმელი, იგი იშვიათად ლაპარაკობს ხმაამღლა. უკიდურესი შეეედულებები ისეთ ადამიანებს ასასიათებთ, რომლებიც ხშირად იცვლიან აზრებს. გრიგოლ აბაშიძეს ყოველთვის ჰქონდა თავისი სათქმელი, ხოლო მისი ერთიანი მსოფლეგრძნობისათვის, მისი ნიჭიერების პარმონიული საკითხათვისა უცხო იყო უკიდურესობანი. იგი თვითმაბადი იდეალის პოეტია, პოეტი სინდის-ნამუსისა, რომელიც შუდამ ფხიზლობს მის არსებაში. ყველაზე საძიში ის ადამიანები არიან, რომლებშიც სინდისს თავიდან სძინავს და მერე იღვიძებს, რადგან შეიძლება, რომ მაღ ისევ მიიძინოს. თვითმაბადი იდეალი თავისთავად გაძორიცხავს სიდიდის-ნამუსის ძილ-ღვიძლობას.

გ. აბაშიძე ბრძენი მრჩეველი და მეგობარია. ზოგჯერ იგი უძუალოდ არ გვასწავლის, ცხოვრებაზე თავის აზრებს თავს არ გვაფვლეს, მაგრამ თვით მასთან უბრალო ურთიერთობაც კი სულიერი გამდიდრების შესაძლებლობის საფუძველია. სწორედ ასე ეუფურებენ მას სიცალესხვა თაობის ქართველი მწერლები, რომელთა კავშირსაც იგი მეთაურობს.

გ. აბაშიძის შემოქმედებითი ინტერესებისა და საქმიანობის სფეროა ქუმანიტარიტად რომ უსაზღვროა. თავისი სიმშვენიერითა და ძალით ძვირფასი ლირიკული ლექსებისა, პოემების, ისტორიული რომანების, შ. ჰეტეფის ნაწარმოებთა ბრწყინვალე თარგმანების ავტორი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ისტორიისა და სახელგარეთული ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე ბრიგოლ აბაშიძე — ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ღირსეული მემკვიდრეა.

მისი ისტორიული რომანები მოგვითხრობენ არა მეფეებზე, არამედ ქვეყნის კულტურაზე, მის აღმავლობასა და გაბვითარებაზე. „მათში მოჩანს მსოფლგაგების სიფართოე, რაც საქართველოს რთული ისტორიის ცოდნის შედეგად არის მიღწეული. ეს არის ღრმა მთაგონების წიგნი“ (ვ. შკლოვსკი).

60 წლის კაცს ახალგაზრდას ვერ უწოდებ, და არც არის აუცილებელი, რადგან როცა ვფიქრობ იუბილარზე, მისი შემოქმედებითი სულის სიმხნეზეზე, მე ძველი ბრძენის სიტყვები მაგონდება: ხანდაზულობა ჯილდოთო.

ალექსანდრე მეჟიროვი.

ჟურნალი „ოგონიოკი“, № 31, 1974 წ.

ბოლოს

„გიორგი ლეონიძე“ იაპონიის ნავსადგურ საკატაში იდგა და უკანასკნელი ტვირთისაგან იცლებოდა, როცა მთავარი ბაზიდან მივიღეთ რადიოგრამა ახალი საგანგებო დავალებით: სასწრაფოდ უნდა დავკავშირებოდეთ იოკოჰამაში მდგომ ტანკერ „ბორჯომს“, დაგვენიშნა შეხვედრის დრო და ადგილი, მიგვეღო მისგან საჭირო ოდენობის საწვავი და დაუყოვნებლივ გავდგომოდით გზას ავსტრალიისაკენ.

მეფრახტის (ვ. ი. დამქირავებლის) პირობები სასტიკ ულტიმატუმს ჰგავდა: ტვირთის (ხორბლის) მისაღებად სამი საორიენტაციო პუნქტი — მელბურნი, სიდნეი, ან ნიუკასლი. ტვირთის მიღების ვადა — თვის 25 რიცხვი, შუადღის 12 საათი.

თუ გემი აღნიშნულ დროზე თუნდაც ერთი საათით გვიან მიადგებოდა ნავსადგურს, რომელსაც ერთი კვირით ადრე ზუსტად გამოაცხადებდნენ, ფრახტი გაუქმებულად ჩაითვლებოდა, ტვირთს ვეღარ მივიღებდით. ეს კი უადრესად დიდ ხარჯად და ზარალად დაატყდებოდა სანაოსნოს. ხოლო ტვირთის დროულად მიღება და მეფრახტის — სათანადო სავაჭრო კომპანიის დაკვეთით ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ნავსადგურში გადატანა მნიშვნელოვან მოგებას იძლეოდა, რითაც ერთბაშად გადაჭარბებით შეავსრულებდით მთელი კვარტალის გეგმას როგორც ტვირთზიდვის, ისე სავალიუტო-საფინანსო დარგებში.

როგორც მალე დავაზუსტეთ, იოკოჰამას ნავმისადგომიდან „ბორჯომი“ რამდენიმე დღეს ვერ გამოვიდოდა, ხოლო მისი ლოდინი ჩვენს დგვიანებას გამოიწვევდა. ამიტომ კურსი ვლადივოსტოკისაკენ ავიღეთ.

ყინულებით მოფენილ ოქროს რქის ყურეში სხვა კიდევ ბევრი საოკეანო ხომალდი იდგა რეიდზე და, ეტყობა, საწვავიან ბუნკერს ელოდებოდა. ჩვენი სანაოსნოს მესვეურთა მრავალეზისი. შუამდგომლობისა და გემის ადმინისტრაციის მეცადინეობით გამონაკლისის სახით ჩვენს გემს ურიგოდ დაუთმეს საკმარისი საწვავი (მხოლოდ ავსტრალიამდე) და ნაშუადღევს „გიორგი ლეონიძე“ მეხუთე კონტინენტისაკენ გაეშართა.

მაგრამ კაპიტანმა ჯერ კიდევ არ იცოდა ტვირთის მიღების ზუსტი პუნქტი. მელბურნამდე მიღწევას, მაგალითად, ჩვენი შესაძლებელი სიჩქარით, ამ რაიონებში აღიარებულ სანაოსნო ტრასას თუ გავყვებოდით, არანაკლებ ჩვიდმეტი დღე დასჭირდებოდა. ჩვენს განკარგულებაში კ? მხოლოდ თხუთმეტი დღე იყო. დაძაბულად და გულისფანცქალით ველოდით შეტყობინებას, თუ რომელ ნავსადგურში უნდა შევსულიყავით. ასეთ ვითარებაში მელბურნი არ იყო ჩვენთვის სასურველი პუნქტი, რადგან იგი ყველაზე შორს მდებარეობდა. სიდნეი ან ნიუკასლი უფრო გაძლევდა ხელს.

მაგრამ საბოლოო ცნობა არა და არ ჩანდა.

კაპიტანმა ზურაბ პატარაძემ მუთაურთა სახელდასელო თათბირი გამართა.

იგი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით ლაპარაკობდა. ყველასაგან მოიფხოვდა ფაძაბულ შუმობას. სამანქანო განყოფილებას ამოცანად დაესახა უწრუნველეყო გემისათვის ის აუცილებელი სიჩქარე, რათაც შესაძლებელი გახდებოდა ამ რთული დავალების დროული შესრულება საუბარი აგრეგატებისა და ძრავის დატვირთვის ნორმირებულ მონაცემებზე, ე. წ. სამოძრაო ნახიჯის მოძებნა-დაკვლების მოსაოდნელ შედეგებზე და მთელ რიგ სხვა ტექნიკურ საკითხებზე ზოგჯერ საწინააღმდეგო აზრებს ეწევდა.

გემის სიახლის მომიზეზებითა და აგრეთვე, ეტყობა, საკუთარი თავის დაზღვევის მიზნით, მექანიკოსები ხშირად ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდნენ და თავს იკავებდნენ ძრავის გადატვირთვისაგან. ხოლო ამ საქმის გამოცდილი სპეციალისტი, თბომექანიკოსი როლანდ რიჩკოვი, მთელი მანქანის დაზვრილებითი შესწავლის, აგრეთვე მთელი რიგი გამოთვლებისა და გაანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით დამეჯოთებით ამტკიცებდა, რომ ხომალდისათვის სრულიად ნორმალური იქნებოდა თუ ძრავი ოთხმოცდაათი და მეტი პროცენტითაც კი დატვირთებოდა. ამ მოსაზრებას თავისი სრული მხარდაჭერით ამაგრებდა პოლონელი გემომშენებელი ინჟინერი ჩვენი მეგობარი ანტონ ქუზნიკი, რომელიც შეცონის ვერფმა თავის აშენებულ გემს ერთი წლის საგარანტიო ვადით გამოაყოლა.

ასეა თუ ისე, ბოლოს და ბოლოს იმდენი მოხერხდა, რომ სიჩქარე სასურველ ზღვარს ოდნავ მაინც მიუახლოვდა — საშუალოდ ცამეტი კვანძიდან თხუთმეტამდე ავიდა. ამ ამბავმა მთელი ეკიპაჟი დაიმეგა, რომ ამოდენა გზას ამაოდ არ გავიარეთ.

კაპიტანი ზოგჯერ მთელი დღე-ღამე საშტურმანო ჯიხურიდან არ გამოდიოდა. სხვადასხვა მასშტაბის რუკებს გამუდმებით ჩაკერკავლებდა, ამინდის მონაცემებს რაციისაგან რეგულარულად იღებდა და მათ ზედმიწევნით განიხილავდა, რათა არჩეული კურსი მეტეოროლოგიურად უფრო კეთილსასურველ რაიონებს დამოხვეოდა.

ამასობაში მელბურნიდან დეპეშა მივიღეთ კურსი სიდნეისაკენ აიღეთო. ამას ხედ შეადავათად ეთვლიდით. სიხარულით ერთმანეთს ვეხვევოდით და „ვაშას“ ვიძახდით. ხუმრობა რომ ბულ მონდომებასა და ამტანობას მოითხოვდა. ეს საქმე ვადაზე ადრე და სანიშნეზოდ შესრულდა. უნდა იფქვას, რომ მოელმა ბრიგადამ ერთსულოვანი შრომის იშვიათი მაგალითი გვიჩვენა. რომელიმე მათგანის ცალკე გამოყოფა შეუძლებელია.

ჯერ კიდევ ეკვატორის მახლობლად ვიყავით, როცა ამ სამუშაოს ვადამდე სანიშნეზოდ შესრულების აღსანიშნავად კაპიტანმა ნება დართო მეთოხე ტრიუმში მიეღოთ წყალი და ტროპიკული გზის ქუდ ეკიპაჟს საზეიმოდ ეანავა.

შტურმანები იური ბაბუხადია, ეგვენი კოტიმიკინი, სტანისლავ ზოლოტოვი და იური მაჭარაშვილი რეგულარულად ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სადღეღამისო ვახტზე და კაპიტან პატარაძის გამუდმებული ზედამხედველობით დასახული კურსით გემის უსაფრთხო სვლას უზრუნველყოფდნენ.

მაგრამ ამინდის მოულოდნელი კაპრიზებით გამოწვეულ უსიამოვნებას ადგენდა ჩვენს ზუსტ აღგილსამყოფელს, ზომავდა დაროვნილ ძალილა, უფარდებდა დროის დაჩქენილ მოხაკვეთა და სულ უფრო მზარდი მოელეკარკით თვითეული ჩვენგანი ელოდა ახალ პროგნოზს, დანეხული დროისათვის ადგილზე მისულაში რომ დაგვარწეუნებ.

იყო დღეები და საათები, როცა თითქმის ეიძედო გასდა სიდნეიში დაიკარგა დროზე ადრე ჩაწვა. მაგრამ ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ხაპირებს რომ ძივუახლოვდით, მთელი ეკიპაჟის დაძაბულ მეცადინეობას, საეჭვიეროდ, დიაეიბამაც შეუწყო ხელი და 25 მარტს, დილით ნიისეებში სიდნეისთან მისასვლელი ჯეკსონის ყურის კარიბჭე — ციცაბო ქაფგისფერი კლდეები აღიმართა.

სიდეურზე რომ ავედი, დამენთეკი კაპიტანი შტურვალთან იდგა, მიკროფონი ხელი ეჭირა და პორტის ადმინისტრაციას ხვენი მისულის ამბავს გადასცემდა.

უკვე ცხრა საათი სრულდებოდა, ლღეღანი კი არ ჩანდა. ყველანი ვღელავდით, რადგანაც საჭირო იყო სათანადო კომპანიის წარიომადგენელთა ეიერ ოფიციალურ ქაღალდებში რვენი მისვლა ფიქსირება. თორემ სხვანაირად ადვილი შეაძლებელია საქმე გაფუჭებულიყო. არანელაყოლი ამინდია გამო ლოცმანის ქიმზე ამოსვლა გაჭიანურდა...

ასე იყო თუ ისე, 11 საათსა და 45 წუთზე სიდნეის რეიდზე დადასტურებულ იქნა „გიორგი ლეონიძის“ დროული გამოცხადება. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

ეს მართლაც მანძილის დაპყრობას ნიშნავდა.

• • •

სიდნეიში ადრეული შემოდგომის რბილი სიგრილით შეკაზმული „ბინდები იდგა. ქუჩაში გასეირნება ძლიერ სასიამოვნო იყო.

ვიდრე გემს მძლავრი ელევატორები ხორბლით ავსებდნენ, ვაატისაგან თავისუფალი მეზღვაურები ქალაქსა და მის ღირსშესანიშნაობებს ეეცხობოდით.

სიდნეი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. აქ ამჟამად ორნახევარი მილიონამდე მცხოვრებია და იგი ქვეყნის მთავარ საწარმოო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენს ძველი და თანამედროვე არქიტექტურა ერთმანეთში მოხდენილად შერწყმულია. ულამაზესი რელიეფი, სადაც ბუნებას მართლაც თავისი მადლიანი კალთა დაუფერტყია, ადამიანის ნახელავს უფრო წარმოაჩენს და მთელ ქალაქს მიმზიდველობას ანიჭებს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, საუბრისას მრავალ იერარ მოქალაქეს მწუხარებით აღუნიშნავს, რომ იგი ავსტრალიაში თავს სამყაროსაგან მოწყვეტილად გრძნობს, რომ აქ მოწყენილობასა და სულიერ ობლობას განიცდის. ასეთი გახეყობილება უფრო ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან ბოლო ოთხ ათეულ წელიწადში გადასულ ახალმოსახლეთა შორის არის შესამჩნევი.

ამ სტრიქონებს რომ გწერდი, თბომავალი „გიორგი ლეონიძე“ ოცდაცხრა ათასი ტონა ხორბლით სავსე ტრიუმეებით ალექსანდრიას უახლოვდებოდა.

სწორედ იმ დღეებში სასიხარულო ცნობა მივიღეთ.

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ჩვენს ეკიპაჟს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი ვიმპელი და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა.

ასეთი შეფასება, რა თქმა უნდა, მადანმზიდ „გიორგი ლეონიძეს“ ეკიპაჟის შრომითი დამსახურების მაღალი საკავშირო აღიარება იყო.

მიუხედავად ხუთი თვის მძიმე და შფოთიანი ცურვისა და დაძაბული მუშაობისა, თვითეული მეზღვაური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვით შთაგონებული კვლავ მზად იყო ახალი დიდი სახელმწიფო დავალებების შესასრულებლად

ფრიდონ ხალვაში.
სიდნეი-ალექსანდრია.

• • •

სურათებზე: ზემოთ — „გიორგი ლეონიძე“ წყნარ ოკეანეში; ქვემოთ — იაპონელი ბიჭები.

ავტორის ფოტო.

ერეკვნული ბიბლიოთეკა

რუს-ქართველთა მატერიალური კულტურის ურთიერთობის ისტორიიდან

დგას ვალდაის კუნძულზე...

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის მატიანეში რუს-ქართველთა კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა ერთ-ერთი საინტერესო თავია. ამ ურთიერთობის განმტკიცების შედეგი იყო სწორედ ის, რომ 1705 წელს მოსკოვში არჩილ მეფემ გამოსცა პირველი ბეჭდური წიგნი ქართულ ენაზე („ფსალმუნი“), შემდეგ არჩილის მიერ გამართულ სტამბაში მთელი საუკუნის მანძილზე იბეჭდებოდა ქართული წიგნები.

ორივე ხალხის ისტორიული მეგობრობის განმტკიცების საქმეში დიდი ადგილი ეჭირა ერთმორწმუნეობას. ოდითგანვე ცნობილია, რომ მთელ საქრისტიანოში ქართული ეკლესია დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. საქართველოს საბეფო ქვეყნის გარეთ მრავალი ტაძარი ჰქონდა, განსაკუთრებით წინა აზიაში. შემდეგ კი რუსეთის ტერიტორიაზეც გაჩნდა ტაძრები და მონასტრები ივერთა ღვთისმშობლის სატის სახელზე. ასე, მაგალითად, ქართული ტაძარი ასტრახანის კრემლში, სადაც დაკრძალული არიან ქართველი მეფეები თეიმურაზ II და ვახტანგ VI, დავით რეტრორი და სხვები.

1648 წელს ათონის ივერთა მონასტრის სატის ასლი გადასვენეს მოსკოვში, ხოლო 1654 წელს მისი ხეტატი ასლი დასვენეს ვალდაის მამათა მონასტერში, რომელიც ააშენა კათალიკოსმა ნიკონმა და იწოდება ივერიის ღვთისმშობლის წმინდა ტბის პირველი კლასის მონასტრად.

ნიკონი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი იყო. მეფესთან დაახლოებული პიროვნება, სარგებლობდა მისი ნდობით, მან პირველ საქმედ დაისახა დაეფუძნებინა თავისთვის მონასტერი და სახელი გაეთქვა წმინდანობით. ამ მიზნით შეარჩია პატარა ეუნძეული ვალდაის ტბაზე და ახალ სავანეს უწოდა ივერიის ღვთისმშობლის მონასტერი. შემდეგ ბელორუსიიდან გადმოიტანა სტამბა, სადაც სტეფანე მთაწმინდელისა და თავისი წიგნები დაბეჭდა. ეს სტამბა ივერიის ტაძარში მოქმედებდა 1657-დან 1865 წლამდე. შემდეგ გადაიტანეს ახალი იერუსალიმის ტაძარში მოსკოვის ახლოს.

ბელორუსიიდან გადმოსახლებული ბერები" მუშაობდნენ აგრეთვე ხეზე ჯვრებზე. ტაძრის შესასვლელ კარებზე ნაწილობრივ არის შემონახული მათი ნამუშევარი. მათ უმუშავნიათ ქარგაზაზე, ფერწერაში და ა. შ. ბელორუსიიდან გადმოსახლებულმა ბერებმა კუნძულზე აღმოაჩინეს კარგი თიხა და ღუმელების დამზადება დაიწყეს.

ნოვგოროდის ეპარქიის ივერიის ღვთისმშობლის პირველი კლასის მონასტერი, როგორც ვთქვით, აგებულია ვალდაის ტბის კუნძულზე. მიწა სილიანია, ტყიანი, სადაც იზრდება ფიჭვი, ნაძვი, არყის ხე და სხვ. მონასტერი ვალდაიდან სამი კილომეტრით არის დაშორებული, ხოლო ნოვგოროდიდან 137 კილომეტრით.

ნიკონმა ათონის ივერთა მონასტრიდან მიიღო როგორც ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი, ისე მონასტრის გეგმა, რომლის მიხედვით აშენებულია კიდევ ვალდაის მონასტერი. საამისოდ მან ათონის ივერთა მონასტერში ადრევე მიავლინა მკოდნე კაცები.

ათონის ივერთა მონასტრის წინამძღოლმა პახომმა შეკრიბა მონასტერში 365 ძმა, იგალობეს, ილოცეს და წმინდა წყლით განბანეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ხატმწერალმა იამვლის რომანოვმა კი ისე კარგად გადახატა იგი, რომ ასლს დედნისაგან ვერ გაარჩევდით.

1654 წლის 26 თებერვალს ზარების რეკვით ჩაიტანეს იგი ვალდაიში. ვალდაის ტბას დაარქვეს წმინდა ტბა. ათონის ივერთა მონასტრის გეგმით აგებულ ვალდაის ივერთა ღვთისმშობლის ტაძარში წინამძღვრად დანიშნეს დიონისე I და მისცეს მას გეჯარი, რომლითაც გაათავისუფლეს იგი გადასახადებისაგან და დაუმორჩილეს მონასტერზე მაწერილი გლეხები. ნიკონმა ხატი შეამკო ორმოცდაათი ათას მანეთად ღირებული სამკაულით. ოქრო-ვერცხლით, ალმასის თვლებით და მარგალიტებით. თავისივე თანხით ჩამოასხმევინა ათასფუთიანი ზარი და ჩამოკიდა ტაძარში.

ნიკონი დიდ ყურადღებას აქცევდა მონასტრის დაცვას. მან მოამზადა მონასტერი ზარბაზნებით, თოფებითა და 200 მსროლელით. გარდა ამისა ვლეხებიდან რჩეულთ ქვემეხებთან აყენებდა. მეფემ ივერთა მონასტრის დასაცავად პირველად ორი ქვემეხი აჩუქა, მეორედ 16, ოვითეული მებრძოლს მონასტრის დაცვისათვის აძლევდნენ ორ-ორ მანეთს.

ნიკონმა ვალდაიში მონასტრის ასაშენებლად საუკეთესო ოსტატებს მოუყარა თავი.

1730 წლისათვის ხვერთა მონასტერში იყო ჭვის ეკლესია ხუთი გუმბათით: ნათლიღების (ღვთის გამოცხადების) ეკლესია (ჭვის შენობა), იაკობ ბორავის ჭვის ეკლესია სასნეულოთი (საავადმყოფო) წმ. ფილიპე მიტროპოლიტის კარის ეკლესია (ხის შენობა), სამრეკლო საათით

ბაბუშვილის სურათების გამოფენა

ბათუმი. (საკ. კორ.). საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქართული რეალისტური ფერწერის ფუძემდებლის, საქართველოს სახალხო მხატვრის გ. გაბაშვილის ნამუშევართა გამოფენა.

ამ ერთ მშრომელებთან ერთად მხატვრის დიდებულ ნამუშევრებს ეცნობა ათასობით საბჭოთა და უცხოელი ტურისტი, რომლებიც ამ დღეებში აქ ერთას ეწვევნენ.

მანქილის

ფოტოინფორმაცია

ჩვენს დიად ჰვეფანაში



□ მინსკის ქარხანა „ოდარნიკმა“ ხერიოლ წარმოებაში დანერგა დიდი წარმადობის უნივერსალური ერთი'იტვნიანი მტვერთავი (სურათზე — ზემოთ). □ ლვოვის ოლქის ქ. ახალი როზდოლის ცურვის სკოლის მოსწავლეები მეცადინეობაზე (ქვემოთ). □ ტაჯიკეთი. „ურგანტიუბეს“ ხაბჭოთა მეურნეობის სახელოვანი მევენახე ბ. ვალიევა (მარჯვნივ — ზემოთ). □ ლატვია. მალპილსის ხაბჭოთა მეურნეობის სათბური: კოზკი, რომელშიც გამოჰყავთ უყავილები.





(საკლუბის ფოტოქრონიკა).

განაკიდან — სკოლებში

დამთავრდა კიონერული ზაფხული

ორიოდე დღე კიდევ და სკოლებში სექტემბრის ზარი აწკრიალდება. მოსწავლეები დაუბრუნდებიან სკოლას, ახმატრიდება დერეფნები, ეზოები. ისინი კვლავ მოესხდებიან მერხებს და შეუდგებიან სწავლას.

პიონერული ბანაკების მიწურა, ჩვენ ვნახეთ წუნეთიდან, კიკეთიდან, მანგლისიდან და კოჯრიდან თბილისამდე მომავალი ავტობუსები. წითელყელსახვევიანი გოგონებითა და ბიჭუნებით. მოდიოდნენ ისინი დედაქალაქში მხიარული სიმღერებით, ეიეილ-ხეიეილით, მოდიოდნენ მზისგან გარუჯულნი, მოკეთებულნი. უბრუნდებოდნენ შრომლიერ კერას, სკოლას.

დავესწარით ბანაკის დახურვას კიკეთში.

ეს ბანაკი, რომელიც სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ეკუთვნის, ერთ-ერთი მსხვილი და კეთილმოწყობილი ბანაკია თბილისის შემოგარენში. აქ თვითეულ ნაკადში 300-320 ბიჭუნა და გოგონა ატარებდა ზაფხულის დღეებს. მხიარულად გატარებული დღეების ელფერი ედო თვითეულ ბავშვს, ისინი გატაცებით საუბრობენ ბანაკში ახლად შეძენილ მეგობრებთან.

ბანაკის უფროსმა ო. ბერაძემ ქმაყოფილებით გაიხსენა ამ შესანიშნავ, გათვითცნობიერებულ ბავშვებთან გატარებული დღეები. მან თქვა, რომ მთელი ამ სამი თვის განმავლობაში ერთი უბრალო არასასიამოვნო ფაქტიც კი არ შეხვედრია მუშაობაში,

— ყველნენ ამ ბანაკში პიონერები თბილისიდან, გორიდან, კასპიდან, მცხეთიდან, კახეთის რაიონებიდან. ბანაკს ბევრი ჰყავდა მნახველები, ჩამოსული სტუმრები, რომლებიც გულმოდგინედ ათვალიერებენ ბავშვების ცხოვრებას ბანაკში, ესწრებოდნენ თვითმოქმედ კოლექტივების კონცერტებს, აინტერესებდათ დღის რეჟიმი, კვება, დასვენება, გართობა, ყველაფერი, რაც ბავშვებისათვის კეთდებოდა.

ბოლო ნაკადში ბანაკს 25 პიონერი ეწვია კოჩუბეიდან, ჩვენი რესპუბლიკის მომთაბარე მეცხვარეობის ცენტრიდან. ისინი უმალვე დაუმეგობრდნენ თბილისელ, გორელ და სხვა რაიონების პიონერებს, მხიარულად, შინაარსიანად ატარებდნენ დროს და საკმაოდ მოკეთებულიც დაბრუნდნენ კოჩუბეიში. ამხანაგებს, მეგობრებს აღუთქვეს, რომ კეთილ ამბებს ჩაიტანდნენ კოჩუბეიში და ნახულს, გაცდილს მოუთხრობდნენ მშობლებს, სკოლის პიონერებსა და ხელმძღვანელებს.

კოჩუბეელები საზეიმო ვითარებაში გაიცილეს.

კიკეთის პიონერთა ბანაკს ბევრი კეთილმოსახერეა ადამიანი აყავდა, მაგრამ თბილი სიტყვების ღირსნი არიან უფროსი პიონერხელმძღვანელი თენგიზ კალანდარიშვილი, ფიზკულტურის ხელმძღვანელი გიორგი აგლაძე და პედაგოგი ნატო კაპანაძე.

პიონერები გამოეთხოვნენ ბანაკს. თან წამოიღეს კეთილი ოცნებანი, ფიქრები გატარებულ დღეებზე, ექსკურსიებსა თუ სპორტულ თამაშობებზე, ტოლამხანაგებისა და მასწავლებლების დარიგებანი სკოლაში გამოადგებათ.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

პიონერთა ბანაკში. თ. კალანდარიშვილის ფოტო.

სტარტზეა ელექტრომოგილი

მორიგი გამოსაცდელი 150-კილომეტრიანი რეისის შემდეგ ელექტრომობილი 403-მ „მოსკვიჩი“ შესრულდა ლენინგრადის საკალაქო საბჭოს სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეზოში. მანქანის შემქმნელები, უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერები კვლავ შეუდგნენ ჩვეულ საქმეს „ბენზინის ავზის“ — პიკაპის ძარაში მოთავსებული ბატარეების მდგომარეობის ყოველმხრივ შემოწმებას.

— ჩვენი „სათობია“ ელექტროენერგია, — თქვა ახალი მანქანის ერთ-ერთმა ავტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ი. სტეპანოვმა. — სხვათა შორის, შესაძლებელია საწვავია, არ ტოვებს არც ნამწვს, არც მჭვარტლს, თანაც საათვით მუშაობს.

— გასოცდამ, რომელსაც წინ უძღოდა მოდელებზე დაყენებული ასობით ცდა, სისტემათა მაღალი საიმედოობა ცხადყო, — განაგრძო ვ. ი. სტეპანოვმა. ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ბევრი ანალოგიური მანქანაა შექმნილი. მაგრამ ისინი მუშაობენ ტყვიის აკუმულატორებით, რომლებიც სწრაფად იცლება, მძიმეა, ძვირი ჯდება მათი ექსპლოატაცია და არა აქვთ საკმარისი ენერგოტევადობა.

ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს ახალი ტიპის „ბენზინის ავზი“ — ჰაერ-მაგნიუმის ბატარია. დენის მძლავრი ქიმიური წყაროები უზრუნველყოფენ მოგზაურობის სიმორის მნიშვნელოვან ზრდას.

—მსუბუქი ელემენტები მაგნიუმისა და ალუმინის გამოყენებით შესაძლებლობას მოგვცემენ დენი მივიღოთ ჰაერის ჟანგბადით ლითონის დაჟანგვის გზით, — აღნიშნა მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. ბ. ალეკიოვსკიმ.

(საქინფორმი).

სოფლის ნობათი თბილისს

კულტურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წელს აგროწესების დაცვით მოუარეს ბოსტნეულის ნათესებს, ხეხილის ბაღებს. შედეგიც კარგია. ყველგან უხვი მოსავალია. გურჯაანელები კრეფენ, ფაქიზად აწყობენ და გზავნიან დედაქალაქის ხილბოსტნეულის მაღაზიებში.

29 აგვისტოს გურჯაანის რაიონიდან სატვირთო ავტომანქანებით დედაქალაქში შემოზიდეს დიდძალი ბოსტნეული და ხილი: 380 ტონა საზამთრო, 60 ტონა ხახვი, 60 ტონა ხილი და სხვადასხვა სახის ათობით ტონა ბოსტნეული.

ხილბოსტნეულის მაღაზიების თაროები დაამშვენეს გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის, შაშიანის, ჩუმლაყის, კაჭრეთის, არამეწდის, მელაანის კოლმეურნეობის, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის, ბაკურციხის, გურჯაანის სახელმწიფო სანერგე მეურნეობების სოფლის მეურნეობის პროდუქტებმა.

როგორც გურჯაანის რაიონის წარმომადგენელმა პარტიის გურჯაანის რაკომის მეორე მდივანმა თ. გილიგაშვილმა განაცხადა, ამ დღეებში გურჯაანელებმა დედაქალაქის მშრომელები მოამარაგეს 400 ტონაზე მეტი ბოსტნეულით და ხილით. გათვალისწინებულია ორ-სამ დღეში დედაქალაქის მშრომელებს კიდევ ეწვიონ და 450 ტონაზე მეტი ბოსტნეულითა და ხილით გაუმასპინძლდნენ თბილისელებს.

● ●

მეტი ვაზი იხარებს...

თელავი. (საკ. კორ.). მეგენახეები კარგახანია განიკიდიდნენ გაზის ნერგის ნაკლებობას, რაც გამოწვეული იყო სანერგე მეურნეობის უქონლობით. ეს აფერხებდა მევენახეობის განვითარებას.

ამ დღეებში გაიმართა რაიონის კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრება საკოლმეურნეობათაშორისო ვაზის სანერგე მეურნეობის შექმნის თაობაზე.

კრებამ აიჩარა სანერგე მეურნეობის გამგეობა.

● ●

აბიტშესატვრული ბრიგადა მთაში

თიანეთი. (საკ. კორ.), თიანეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის აგიტმატვრული ბრიგადა, რომელსაც თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი ლ. ფოფხაძე ხელმძღვანელობს, ამას წინათ ეწვია მწყემსებსა და მწველავებს, რომლებიც მთელ ზაფხულს შრომობენ სოფლიონის, ბაჩლის, ხაშრის, აზრეხევის, ხილიანისა და ხატეღურას. მთებზე კონცერტებს ესწრებოდნენ აგრეთვე ერეოს საბჭოთა მეურნეობისა და რძის გადასამუშავებელი ქარხნის მუშები.

მაყურებლებს მოეწონათ ბრიგადის სოლისტების ნიჭიერი, ელეონ და ლიანა სესაურების, გივი და ნათელა დავითაშვილების მიერ შესრულებული ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები და ხალხური სიმღერები.

ბოგგბურთი

პ. მეტრეველი გამარჯვებით იწყებს

ჩვენი ქვეყნის პირველმა ჩოგანმა, თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა, რომელმაც სულ ახლახან გაიმარჯვა აშშ-ის ქალაქ საუტ-ორანჯში ალმოსავლეთის შტატების ღია პირველობაზე, წარმატებით აიღო სტარტი კიდევ ერთ ტურნირში. ეს არის აშშ-ის ღია ჩემპიონატი, რომელიც მიმდინარეობს ნიუ-იორკის გარეუბან ფორესტ ჰილსში. ქართველმა ჩოგბურთელმა პირველ შეხვედრაში დაამარცხა ერთ-ერთი ძლიერი ოსტატი, ფრანგი ენ შანფრო — 6:3, 6:2, 6:2.

მოსკოველი ოლეგ მოროზოვამ პირველი მეტოქეი ევროპის ახალგაზდელი ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი მარტინა ნავრატილოვა.

ნიუ-პორტის საერთაშორისო ტურნირის ფინალში კი უიმბლდონის ჩემპიონმა, ამერიკელმა კრის ევერტმა დაამარცხა თანამგუნდელი ბეტსი ნეგლსენი — 6:4, 6:3 და შეჯიბრების მთავარი პრიზი მოიპოვა. ალსანიშნავია, რომ ეს კ. ევერტის ზედიზედ 52-ე გამარჯვებაა მიმდინარე სეზონში.

ტენისი

პირველი თასი

პ. შამუგიას სამმაგი პირუეტი

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ოსტატების შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი პრიზი — სსრ კავშირის თასი მოიპოვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა, რომელმაც სავალდებულო დაწყებისეერი პროგრამების შესრულებისას მოაგროვა 555,7 ქულა. ბელორუსიის ნაკრები, რომელიც ლიდერობდა სავალდებულო პროგრამის შემდეგ, ჩამორჩა გამარჯვებულს 4,2 ქულით.

კიდევ უფრო განიმტკიცა ხალიდერი მდგომარეობა ნიკოლოზ ანდრიანოვმა (რსფსრ), რომელმაც 113,6 ქულა აქვს. ვლადიმირელი სპორტსმენი უსწრებს მოსკოველ ვიქტორ კლიმენკოს ერთი ქულით. მესამე ადგილზეა ეროზნოველი სტუდენტი ვლადიმერ მარჩენკო — 112,05 ქულა.

მოწონება დაიმსახურა თბილისელმა პაატა შამუგიამ, რომელმაც თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისას აწვენა სამმაგი პირუეტი. ამას კი მთელს მსოფლიოში მის გარდა აკეთებს მხოლოდ იაპონელი ეიძო კუბოდა!

გუშინ საღამოს ვილნიუსის სპორტის სასახლეში ნებისმიერ პროგრამაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალთა გუნდები.

ლიდერია „ტრუდი“

სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ექვსი ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ გუნდი. მიუხედავად „დინამოსთან“ შეხვედრაში წარუმატებლობისა, „ტრუდმა“ 35,5 ქულა მოაგროვა.

ორი ქულით ჩამორჩება ლიდერს „ბურევესტნიკი“. მესამე ადგილზეა „სპარტაკი“ — 31 ქულა.

სუსტად გამოდის „ლოკომოტივი“, რომელსაც სათავეში უდგანან გროსმაისტერები ბ. სპასკი, ლ. პოლუგაევსკი და ი. პლატონოვი.

შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა სამი ტური.

მოკლედ...

ხუთშაბათ. გომელში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა. შესანიშნავად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიპოვეს ორგორც გუნდური, ისე პირადი (თბილისელი მიხეილ ნოვოსელცევი) პირველობა.

შეხვედრები. გუშინ ლენინგრადსა და კიშინიოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 21-ე ტურიდან გადმოტანილი მატჩები: „ზენიტი“ — „შახტიორი“ და „ნისტრუ“ — მოსკოვის „დინამო“. პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, მეორე კი — დინამოელთა გამარჯვებით — 1:0.

აკაკი ჩავლეიშვილი

ჩვენგან წავიდა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე და სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი აკაკი ვეორგის-ძე ჩავლეიშვილი.

ათეული წლების მანძილზე ემსახურებოდა პირნათლად მისი კალამი ბეჭდვითს სიტყვას. ვინც თვალს ადევნებს ჩვენს პერიოდულ პრესას, არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ გაიხსენოს ჟურნალისტური მეზნეობრებით დაწერილი მისი მაღალკვალიფიციური სხვადასხვა ჟანრის მასალები საერთაშორისო ურთიერთობებზე, ჩვენი დღეების გმირულ რომანტიკაზე, შრომისა და ბრძოლის მოწინავე ადამიანებზე, თეორიის პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც ასე ხშირად ჭვეყნდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, გადაიცემოდა რადიოთი და ტელევიზიით. იგი ავტორია ასევე მაღალკვალიფიციური, დროით ნაკარნახევი, პარტიული პრინციპულობით დაწერილი წიგნებისა — „ეთერული ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“, „ბულგარეთი აღორძინების გზაზე“, „კოლექტივიზმი და კოლექტიური ხელმძღვანელობა“, „მშვიდობა ბრძოლით მოიპოვება“, „ლენინი ჟურნალისტი“ და სხვ.

აკაკი ჩავლეიშვილი დაიბადა 1910 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ბულუსაურში (ნინოშვილი), ღარიბი გლეხის ოჯახში.

დაწყებითი განათლება მიიღო თბილისის ს. ფ. ფ. ს. ... ...